სახელმწიფო შესყიდვების
ხელშეკრულება №56-221220-0

ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2020 წ.

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში ომარ ოგბაიძის სახით, და მეორე მრივ, შპს „კავკასუს მოტორსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, დანართი №1-ით გათვალისწინებული შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტომანქანების საგარანტიო ტექნიკური მომსახურების ან/და მიმდინარე ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 50112200; შემდგომში - „მომსახურება“) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. მომსახურება განხორციელდება დანართი №1-ით (შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტომანქანების ჩამონათვალი) გათვალისწინებულ ავტომანქანებზე, წინამდებარე ხელშეკრულებით, დანართი №2-ით (პრეისკურანტი) და დანართი №1-1-ით (თანმდევი საგარანტიო მომსახურების ცხრილი) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, მხარეთა მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული შესაბამისი დეფექტური აქტის ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა, მოცულობა და შესრულების ვადები.

2.2. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის სერვისცენტრი მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კმ.

2.3. გაწეულ მომსახურებაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ მომსახურების დეტალური აღწერა, გასაწევი მომსახურების, გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების რაოდენობა და/ან მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (ან ერთვოდეს დეფექტური აქტი). მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს მიმწოდებლის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. გაწეულ მომსახურებაზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ მხარეები ან მხარეთა მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირები.

2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 5 დღეზე მეტი დაგვიანებით ან/და უხარისხო მომსახურების მიღებაზე, ან/და შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული იმ მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

3.1.1. გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

3.1.2. შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და 2 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად;

3.1.3. უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების შესრულება ხელშეკრულებასა და დეფექტურ აქტში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, არაუგვიანეს დეფექტური აქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ავტოსათადარიგო ნაწილის არ ქონის, ან ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება, მომსახურება დასრულებული უნდა

იქნას მხარეთა მიერ შეთანხმებულ, გონივრულ ვადაში (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს);

3.1.4. თუ, დანართი №1-1-ით (თანმდევი საგარანტიო მომსახურების ცხრილი) გათვალისწინებულ პერიოდში (შესაბამისი გარბენი), ავტომანქანის დათვალიერების შედეგად გაირკვევა, რომ დანართი №1-1-ით (თანმდევი საგარანტიო მომსახურების ცხრილი) გათვალისწინებული რომელიმე სათადარიგო ნაწილის შეცვლა ან/და მომსახურების გაწევა აუცილებლობას არ წარმოადგენს, მიმწოდებელმა აღნიშნულზე უნდა გასცეს შესაბამისი დასკვნა (ცნობა).

3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

3.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულება შეადგენს 25000,00 (ოცდახუთი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტების საფუძველზე, რომელიც დანართი №2-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. დანართ №2-ში მითითებული ფასები შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს, დღგ-ს ჩათვლით.

4.3. თუ გასაწევი მომსახურების ან რომელიმე სათადარიგო ნაწილის ფასი (მისი შესყიდვის აუცილებლობისას) არ არის გათვალისწინებული დანართ №2-ში (პრეისკურანტი), მაშინ მხარეები, მომსახურების დაწყებამდე, ადგენენ აღნიშნული მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის ფასს საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტომანქანის მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს 209 194.70 (ორას ცხრა ათას ას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.4. მომსახურების დასრულებისთანავე მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მხარეთა მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირები.

4.5. ანგარიშსწორების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტებია:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი (ორმხრივად ხელმოწერილი).

4.6. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების 4.5. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.7. შემსყიდველის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის და მისი მიღების, ასევე ანგარიშსწორების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქნება.

5. ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. მიმწოდებელის მიერ მომსახურების განხორციელებისას დანართი №2-ით გათვალისწინებული სათადრიგო ნაწილის გამოყენების შემთხვევაში, სათადარიგო ნაწილი უნდა იყოს ახალი/არ უნდა იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში.

5.2. მიმწოდებლის გარანტია გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ან/და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ნორმალური ექსპლუატაციის შემთხვევაში. გარანტია არ ვრცელდება სწრაფად ცვეთად ავტონაწილებზე (ნათურები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები (სამუხრუჭე ხუნდები უნდა იყოს მაღალი ხარისხის, არ უნდა ცვდებოდეს მალე, არ აზიანებდეს საყრდენ დისკებს და არ უნდა კარგავდეს თვისებებს გაცხელების შემთხვევაში).

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანების უსაფრთხო ექსპლუატაციას, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა) საკუთარი ხარჯით გამოასწოროს დეფექტი. განსაკუთრებული დაზიანების შემთხვევაში ან სათადარიგო ნაწილის ადგილზე არქონის შემთხვევაში, დეფექტის გამოსწორების ვადა დამატებით თანხმდება მხარეთა შორის (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს).

5.4. მე-5 მუხლში აღნიშნული გარანტია არ ვრცელდება შემსყიდველის მიერ ავტომანქანების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე.

5.5 მომსახურების გაწევის დროს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

5.6 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალედბულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ტექნიკურად გამართული ავტომანქანა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირველ და მე-5 მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებს.

6.1.1. საგარანტიო პერიოდში ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს მის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის (მიმწოდებლისათვის) გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულების 5% ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა, შემსყიდველისაგან პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა უნდა გადაიხადოს.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების არაჯეროვნად შესრულების და/ან ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაუწეველი მომსახურების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ვალდებულების შესრულების დღემდე.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.3. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

6.4. არაჯეროვანი მომსახურების გაწევის შედეგად შემსყიდველისათვის, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.5. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. მიმწოდებლის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

6.6. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.7 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის/მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების სავარაუდო მაქსიმალური ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს/მომსახურების გაწევაზე უარს იტყვის ხელშეკრულების 11.2 პუნქტში მითითებული გარემოებების საფუძველზე.

6.8. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება (ფორს-მაჟორი)

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ (მისი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის მიერ წარმოდგენილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს გაწეული მომსახურების კონტროლი.

8.2. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

8.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;

8.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა გაწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად გაწეული მომსახურების მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.

8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

8.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

12. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	„მიმწოდებელი“ შპს „კავკასუს მოტორსი“
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 224-40-40 / 224-40-41 ს/კ 206237491 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001	მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 12 კმ. ტელ: (032) 291 19 11 ს/კ: 436031768 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბ/კ: UGEBGE22 ა/ა GE50VT7000003333333333
დირექტორი ფინანსურ საკითხებში ო. ოგბაიმე	დირექტორი გ. ამაშუკელი

GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC Digitally signed by GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC Date: 2020.12.22 14:46:43 +04'00'

LLC CAUCASUS MOTORS Digitally signed by LLC CAUCASUS MOTORS Date: 2020.12.22 16:17:49 +04'00'

დანართი №1 - შემსყიდველის ბალანსზე არსებული ავტომანქანების ჩამონათვალი

N	ა/მანქანის მარკა	ა/მანქანის სახ. ნომერი	ძრავის მოცულობა, გადაცემათა კოლოფი	გამოშვების წელი	საიდენტიფიკაციო №
1	მიცუბიში L-200	BS-306-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH037558
2	მიცუბიში L-200	BS-307-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH037773
3	მიცუბიში L-200	BS-309-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH037873
4	მიცუბიში L-200	BS-536-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH054475
5	მიცუბიში L-200	BS-537-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH054490
6	მიცუბიში L-200	BS-538-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH054637
7	მიცუბიში L-200	BS-539-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH054672
8	მიცუბიში L-200	BS-812-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH054457
9	მიცუბიში L-200	BS-814-BB	2.5; მექანიკა	2018	MMBJNKL30JH054713

დანართი №1-1 - თანმდევი საგარანტიო მომსახურების ცხრილი

დასახელება	საქონლის ერთეულის ფასი (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	მომსახურების ერთეულის ფასი (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	ხარჯი 1000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 11000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 21000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 31000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 41000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 51000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 61000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 71000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 81000კმ გარბენზე (ლარი)	ხარჯი 91000კმ გარბენზე (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
ძრავის ზეთი	175	15	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	2300
ძრავის ზეთის ფილტრები	40		+	+	+	+	+	+	+	+	+	+	
წინა სამუხრუჭე ხუნდები	200	20			+		+		+		+		880
უკანა სამუხრუჭე ხუნდები	0	0											0
ჰაერის ფილტრი	80	0		+		+		+		+		+	400
კონდიციონერის ფილტრი	120	10					+				+		260
ანთების სანთლები	0	0											0
ძრავის ღვედი	790	270									+		1060
სულ (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)			230	310	450	310	580	310	450	310	1640	310	**4900**

შენიშვნა:

- *ავტომობილის თანმდევი საგარანტიო მომსახურების ცხრილში გარბენის/კილომეტრების რაოდენობა უნდა მიეთითოს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ავტომობილის მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული პერიოდულობის (გარბენის/კილომეტრის) გათვალისწინებით. ამასთან ცხრილში დასაშვებია გარბენილი კილომეტრების სვეტების რაოდენობის ცვლილება;*
- *ავტომობილის თანმდევი საგარანტიო მომსახურების ზემოაღნიშნულ ცხრილში მოცემულია საქონლის/მომსახურების მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც შეიძლება დაემატოს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ავტომობილის მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული დამატებითი საქონელი/მომსახურება;*
- *100000 კილომეტრ გარბენზე ავტომობილის თანმდევი საგარანტიო მომსახურების ღირებულება (დანართი №1-1-ის ჯამური ღირებულება) უნდა მოიცავდეს წინა და უკანა ხუნდების მინიმუმ 5-ჯერ შეცვლას (საჭიროების შემთხვევაში).*
- *დანართ №1-1-ში ნახსენები „საქონელი" გულისხმობს აღნიშნულ დანართში მოცემულ სათადარიგო ნაწილს/ზეთს.*

ხელმოწერა ----------

ბ.ა. ***დირექტორი /გიორგი ამაშუკელი/***

	MITSUBISHI L200 2.5 დიზელი ავტონაწილის დასახელება	რ-ბა	სათადარიგო ნაწილის ერთეულის ღირებულება (ლარი)	ერთეულზე მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი როლიკი	1ც	155	250
2	ძრავის კბილანა ღვედის ამყოლი როლიკი	1ც	110	
3	ძრავის კბილანა ღვედი	1ც	205	
4	ბალანსირის ღვედი	1ც	120	
5	ბალანსირის ღვედის დამჭიმი როლიკი	1ც	110	
6	ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი მექ. (ამორტიზატორი)	1ც	400	250
7	დინამოს ღვედი	1ც	190	20
8	კონდიციონერის ღვედი	1ც	70	40
9	ჰაერის ფილტრი	1ც	80	-
10	საწვავის ფილტრი	1ც	120	20
11	კონდენციონერის ფილტრი	1ც	120	10
12	წყლის რადიატორი	1ც	2300	80
13	მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი	1ლ	24	15
14	ბამანაწილებელი კოლოფის ზეთი	1ლ	24	15
15	წინა ხიდის ზეთი	1ლ	24	15
16	უკანა ხიდის ზეთი	1ლ	24	15
17	ჰიდრავლიკის ზეთი	1ლ	35	40
18	სამუხრუჭე სითხე	1ლ	40	60
19	ანტიფრიზი	1ლ	24	30
20	სუპორტის რემ.კომპლექტი	1ც	60	40
21	სუპორტი	1ც	1550	30
22	სუპორტის ცილინდრი (პორშინი)	1ც	170	40
23	სუპორტის სალასკა	1ც	40	20
24	სამუხრუჭე ხუნდების დამჭერი დეტალი	1ც	320	45
25	წინა სამუხრუჭე ხუნდების ფირფიტა	1კომპ.	60	20
26	წინა სამუხრუჭე ხუნდების დამჭერი შპილკა	1კომპ.	90	20
27	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ცილინდრი (ბაჩოკი)	1ც	320	40
28	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ცილინდრის რემ. კომპლექტი	1ც	36	45
29	უკანა სამუხრუჭე ხუნდების სარეგულირო ძელი	1ც	175	45
30	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ზამბარა	1ც	35	45
31	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	1ც	1620	60
32	მუხრუჭის მილი (შლანგი)	1ც	95	40
33	ABS-ის ბლოკი	1ც	5540	100
34	რულის ღერძის ქვედა კარდანი	1ც	500	250
35	რულის ღერძის ზედა კარდანი	1ც	2500	180
36	რულის ღერძის ზედა დეტალი	1ც	2300	200
37	რულის ღერძის დამჭერი კრონშტეინი	1ც	36	40
38	რულის კალონკა	1ც	5500	250
39	საჭის ჰიდროგამაძლიერებელი ტუმბო	1ც	3070	70
40	ჰიდრავლიკის სისტემის მაღალი წნევის მილი	1ც	444	80
41	წინა სამუხრუჭე ხუნდები	1კომპ	200	20
42	უკანა სამუხრუჭე ხუნდები (ავტომანქანებზე 100-ზე მეტი გარბენის (კმ) გადაცდენის შემთხვევაში)	1კომპ	270	45

43	საჭრდენი სამუხრუჭო დისკი	1ც	540	30
44	უკანა სამუხრუჭო ბარაბანი	1ც	590	30
45	გადაბმულობის დისკი	1ც	600	350
46	გადაბმულობის ძურო (კლიტა)	1ც	650	
47	გადაბმულობის დამწოლი საკისარი (ციუმნოი)	1ც	180	
48	წინა ამორტიზატორი	1ც	530	50
49	უკანა ამორტიზატორი	1ც	440	30
50	წინა სტაბილიზატორის რეზინი	1ც	35	15
51	წინა სტაბილიზატორის ლინკა	1ც	185	20
52	რაზდატკის რეზინის ბალიში	1ც	120	20
53	ჯვარედინა	1ც	180	50
54	წინა მორგვა (სტუპიცა)	1ც	910	80
55	უკანა ხიდის სალნიკი	1ც	60	40
56	წინა ხიდის სალნიკი	1ც	60	40
57	ყუმბარის პილნიკი	1ც	70	50
58	რესორი	1ც	1800	100
59	რესორის რეზინი	1ც	18	10
60	წინა ძვედა გიტარა	1ც	1300	60
61	წინა ზედა გიტარა	1ც	540	40
62	საბურავის გაიკა	1ც	15	10
63	საბურავის შპილკა	1ც	15	10
64	ყუმბარა (შიდა-გარე)	1ც	2750	40
65	შიდა ყუმბარა	1ც	1450	50
66	გარე ყუმბარა	1ც	1950	50
67	ძვედა შარავოი	1ც	180	45
68	ძრავის უკანა სალნიკი	1ც	84	350
69	კარდნის დაკიდების საკისარი (პადვესნოი)	1ც	240	80
70	კოლოფძვეშა რეზინი	1ც	520	30
71	ძრავძვეშა რეზინი	1ც	170	120
72	გამანაწილებელი კოლოფის ჯაჭვი	1ც	1540	240
73	გამანაწილებელი კოლოფის ღერძის საკისარი	1ც	350	600
74	გამანაწილებელი კოლოფის ნემსა საკისარი	1ც	230	600
75	გამანაწილებელი კოლოფის სალნიკი	1ც	85	40
76	გამანაწილებელი კოლოფის ღერძის გაიკა	1ც	48	400
77	ძრავის დგუშის რგოლები (კოლიცოები)	1კომპ	200	1700
78	ძრავის დგუში (პორშინი)	1ც	420	1900
79	შატუნი	1ც	715	1900
80	შატუნის ვკლადიში	1 კომპ.	235	1900
81	კარენნოი ვკლადიში	1ც	120	1900
82	კალენვალის ნახევარმთვარე	1ც	30	1900
83	კალენვალის შკივი	1ც	520	150
84	კალენვალის შკივის ბოლტი	1ც	36	1500
85	მახავიკი	1ც	1110	350
86	მახავიკის კბილანა	1ც	530	350
87	ძრავის კლაპანი	1ც	150	700
88	კლაპნის სალნიკი	1ც	20	700
89	კლაპნის მიმწოლი ფეხი (ტალკატელი)	1ც	135	700
90	კლაპნის ზამბარა	1ც	18	700
91	ძრავის ზეთის წნევის სენსორი	1ც	60	50
92	ბალანსირის ღერძის სალნიკი	1ც	40	250

93	ძრავის წინა სალნიკი	1ც	60	300
94	საწვავის ავზის ტივტივა	1ც	340	30
95	საწვავის ავზის ხუფი	1ც	70	-
96	საწვავის ტუმბო	1ც	6200	350
97	სარძველი (დროსელი)	1ც	3850	50
98	გაფართოვებული წყლის ავზი	1ც	108	20
99	წყლის ტუმბო	1ც	970	300
100	წყლის გამაგრილებელი ვენტილატორი	1ც	240	50
101	EGR-ის გამაგრილებელი რადიატორი	1ც	2350	110
102	შემსვლელი ჰაერის ტემპერატურის სენსორი	1ც	72	20
103	ტურბინა	1ც	9990	70
104	მაყუჩი	1ც	1075	100
105	მაყუჩის საკიდი რეზინი	1ც	35	20
106	მაყუჩის შუასადები	1ც	24	30
107	მაყუჩის შუასადები რგოლი	1ც	48	30
108	გამშვები კოლექტორი	1ც	1070	270
109	გამშვები კოლექტორის შუასადები	1ც	85	1900
110	ანთების სპირალის რელე	1ც	290	30
111	კალენვალის სენსორი	1ც	370	400
112	რასპრედვალის სენსორი	1ც	370	20
113	გადაბმულობის ქვედა ბაჩოკი	1ც	330	60
114	გადაბმულობის ზედა ბაჩოკი	1ც	430	90
115	გადაცემათა კოლოფის სალნიკი	1ც	36	50
116	მანქანის სიჩქარის სენსორი	1ც	420	40
117	გადაცემათა კოლოფის ღერძის საკისარი	1ც	65	150
118	უკან სვლის ნათურის ჩამრთველი	1ც	72	30
119	გამანაწილებელი კოლოფის სენსორი	1ც	150	40
120	პატარა კარდანი	1ც	1890	30
121	დიდი კარდანი	1ც	4050	30
122	წინა ხიდის რედუქტორი	1ც	14000	250
123	უკანა ხიდის რედუქტორი	1ც	6000	250
124	საბურავის დისკის ხუფი (კალპაკი)	1ც	36	-
125	სათადარიგო საბურავის ამწე	1ც	330	30
126	წინა ამორტიზატორის მტვერდამცავი	1ც	36	50
127	წინა ამორტიზატორის ზამბარა	1ც	350	50
128	რესორის მანჟეტი (სტრმიანკა)	1ც	485	30
129	ხელის მუხრუჭის ტროსი	1ც	180	50
130	კარის დამჭერი დეტალი	1ც	60	100
131	კარდნის ზაბლუშკა	1ც	60	70
132	საჭის წევის დაბოლოვება (ნაკანეჩნიკი)	1ც	144	20
133	საჭის წევა (ტიაგა)	1ც	245	30
134	კარტერის ბოლტი	1ც	30	-
135	მფრქვევანა (ფარსუნკა)	1ც	2350	300
136	ანთების სპირალი (გამათბობელი)	1ც	240	15
137	გამათბობელი (ფეჩი)	1ც	3300	400
138	გამათბობლის ძრავი	1ც	730	100
139	თერმოსტატი	1ც	80	80
140	მინის საწმენდი რეზინები	1კომპ	80	-
141	საქვირი	1კომპ	180	50
142	წყლის მისასხმელის ავზის ძრავი	1ც	300	70

143	უკანა ფარი (კომპლექტი)	1ც	450	20
144	წინა ფარი (კომპლექტი)	1ც	2000	80
145	მუხრუჭის ნათურა	1ც	8	5
146	უკუ სვლის ნათურა	1ც	8	5
147	უკანა მოხვევის ნათურა	1ც	5	5
148	წინა მოხვევის ნათურა	1ც	5	5
149	ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურა	1ც	80	10
150	გაბარიტის ნათურა	1ც	5	5
151	წინა ფარის ნათურა H4	1ც	25	5
152	სალონის განათების ნათურა	1ც	5	5
153	ფეჩის რადიატორი	1ც	820	350
154	კონდიციონერის კომპრესორი	1ც	3720	250
155	კონდიციონერის კომპრესორის მაგნიტი	1ც	1110	350
156	გასაღები	1ც	460	120
157	წინა კარის მინა	1ც	312	70
158	უკანა კარის მინა	1ც	285	70
159	მინის საწმენდი მექანიზმის ძრავი	1ც	680	60
160	აკუმულატორი	1ც	420	10
161	კონდენციონერის რადიატორი	1ც	1450	80
162	კარის მინის ამწევი მექანიზმი	1ც	216	60
163	კარის მინის ამწევი ძრავი	1ც	560	70
164	რულის შლეიფი	1ც	570	100
165	ტურბინის წნევის სენსორი	1ც	520	15
166	სალონის წინა საფენი (კოვრიკები)	1ც	130	-
167	სალონის უკანა საფენი (კოვრიკები)	1ც	90	-
168	ინტერჭულერი (ტურბოს რადიატორი)	1ც	2500	80
169	საწვავის აგზი	1ც	2450	100
170	ძრავის დამცავი	1ც	400	10
171	დინამოს ღვედის დამჭიმი როლიკი	1ც	390	50
172	კონდიციონერის ღვედის დამჭიმი როლიკი	1ც	230	70
173	ნახევარღერძის (პოლუოსის) სალნიკი	1ც	70	70
174	დინამო	1ც	4120	80
175	სტარტერი	1ც	3330	100
176	საწვავის წნევის რეგულატორი	1ც	1120	50
177	უკანა ნახევარღერძის (პოლუოსის) საკისარი	1ც	180	150
178	მოხვევის მუშტა (წერო)	1ც	1250	80
179	ABS-ის სენსორი	1ც	770	30
180	საჭის წევის მტვერდამცავი	1ც	90	30
181	წყლის რადიატორის ხუფი	1ც	48	-
182	ხიდის საკისარი	1ც	110	100
183	წინა ხიდის საჭაერო	1ც	24	150
184	EGR-ის კლაპანი	1ც	1150	70
185	ჰიდრომუფტა	1ც	1150	60
186	ძრავის ხუფის შუასადები	1ც	60	250
187	ძრავის გალოვკის შუასადები	1ც	220	1300
188	რასპრედვალის სალნიკი	1ც	55	300
189	ძრავის ბლოკის ხუფი (ზაგლუშკა)	1ც	30	610
190	ბენდექსი	1ც	110	80
191	ფრეონი	100გრ	24	20
192	დინამოს საკისარი	1	84	180

193	საბურავის ჯაჭვი	1კომპ	300	30
194	რაზდატკა	1ც	11000	450
195	ძრავის შლანგი(ტრუპკები)	1ც	150	240
196	ძრავის გამოსარეცხი სითხე	1ც	27	50
197	ნისლსაწინააღმდეგო ფარი	1ც	650	20
198	საძარე მინის საწმენდი სითხე	1ლ	20	-
199	სავალი ნაწილის შეპოხვა	1ც	-	15
200	ძრავის დიაგნოსტიკა	1ც	-	10
201	სავალი ნაწილის დათვალიერება	1ც	-	10
202	წყლის რადიატორის შეკეთება (საშუალო დაზიანება)	1ც	-	30
203	წყლის რადიატორის შეკეთება (რთული დაზიანება)	1 ც	-	80
204	უკანა სამუხრუჭე ხუნდების მექანიზმის შეკეთება	1ც	-	50
205	საყრდენი სამუხრუჭო დისკის ახარატება	1ც	-	30
206	კალენვალის შკივის შეკეთება	1ც	-	80
207	ძრავის გალოვკის მოხსნა-დაყენება	1ც	-	580
208	ძრავის გალოვკის შეკეთება	1ც	-	900
209	ძრავის გალოვკის ბზარზე შემოწმება	1ც	-	60
210	ძრავის გალოვკის მოხეხვა	1ც	-	50
211	თვლების შეყრა	1კომპ	-	40
212	ხელის მუხრუჭის რეგულირება	1ც	-	10
213	ძრავის ბლოკის შეკეთება	1ც	-	2080
214	ძრავის გაზებზე შემოწმება	1ც	-	30
215	დროსელის გაწმენდა	1ც	-	20
216	ნახევარღერძის (პოლუოსის) მოხსნა-დაყენება	1ც	-	90
217	სიჩქარის შემზღუდველი ხმოვანი სიგნალის მოხსნა	1კომპ	-	100
218	კარდნის ზაგლუშკის შეკეთება	1ც	-	80
219	რესორის დაშლა-აწყობა	1ც	-	60
220	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება	1ც	-	300
221	გადაცემათა კოლოფის დაშლა-აწყობა	1ც	-	700
222	ელექტროობის სრული დიაგნოსტიკა	1კომპ	-	30
223	მფრქვევანის სტენდზე შემოწმება	1ც	-	30
224	მფრქვევანის შეკეთება	1ც	-	480
225	ანთების სპირალების შემოწმება	1ც	-	150
226	საწვავის სისტემის რეგულირება	1კომპ	-	90
227	გამანაწილებელი კოლოფის მოხსნა-დაყენება	1ც	-	450
228	გამანაწილებელი კოლოფის შეკეთება	1ც	-	600
229	რამის გადაჭერა	კომპ	-	35
230	საბურავის დაშლა აწყობა ბალანსირება	1ც	-	15
231	კარის დაშლა-აწყობა	1ც	-	50
232	საძარე მინა	1ც	2000	200
233	საწვავის ავზის შედუღება	1ც	-	80
234	მაყუჩის შედუღება (საშუალო დაზიანება)	1ც	-	30
235	მაყუჩის შედუღება (რთული დაზიანება)	1ც	-	80
236	ხიდის ხუფის შეკეთება	1ც	-	100
237	ხიდის მოხსნა-დაყენება	1ც	-	250
238	რულავოის ღერძის შეკეთება	1ც	-	450
239	ევაკუატორის გამოძახება	1ც	-	20
240	ევაკუაცია (ძალაქმი)	1კმ	-	1.2
241	ევაკუაცია (ძალაქგარეთ)	1კმ	-	1.5
242	დინამოს შეკეთება	1ც	-	70

243	სტარტერის შეკეთება	1ც	-	70
244	საწვავის წნევის რეგულატორის შეკეთება	1ც	-	150
245	საბურავის შეკეთება	1ც	-	20
246	გადაბმულობის ძვედა ბაჩოკი	1ც	-	90
247	საბურავის გადაადგილება	1ც	-	5